




განხილულია, ცვლილება შეტანილია და

დამტკიცებულია გიმნაზიის პედაგოგიური

საბჭოს სხდომაზე 06.09.2019 წლის ოქმი N 1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

ა(ა) იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის
წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის შინაგანაწესი



2019 – 2020 სასწავლო წელი
წყალტუბო.

შინაგანაწესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის შინაგანაწესი (შემდგომში „სასულიერო გიმნაზია“) შემუშავებულია საქართველოს „შრომის კოდექსის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით და ეფუძნება საქართველოს განათლების სისტემაში მოქმედ კანონებს და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს:

საქართველოს კონსტიტუცია, კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია; გიმნაზიის წესდება; ეროვნული სასწავლო გეგმა; მასწავლებლის ეთიკის კოდექსი-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წ. 14.07. ბრძანება N57/ნ;

მოსწავლის ქცევის კოდექსი-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წ. 30.08. ბრძანება N79/ნ;

სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი -საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წ. 30.08. ბრძანება N80/ნ;

1.2. შინაგანაწესი ადგენს სასულიერო გიმნაზიაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების ფორმებს, კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს ამ პროცესის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე გიმნაზიასა და მოსწავლეთა შობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს.

1.3. შინაგანაწესი აწესრიგებს გიმნაზიის შრომითი კოლექტივის მიერ სამუშაო დროის სრულ და რაციონალურად გამოყენებას, ხელს უწყობს მათი შრომის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებას, დისციპლინის განმტკიცებას.

1.4. გიმნაზიის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა ყველა თანამშრომლის, მოსწავლის, მშობლისა (კანონიერი წარმომადგენლების) და ყველა იმ პირისათვის, ვინც სხვადასხვა პირობით თანამშრომლობს გიმნაზიასთან.

1.5. გიმნაზიას ხელმძღვანელობს გიმნაზიის ადმინისტრაცია/ გიმნაზიის რექტორი.

მუხლი 2. გიმნაზიის თანამშრომლები

2.1. გიმნაზიის თანამშრომლები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, რექტორთან დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

2.2. გიმნაზიის თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულება იდება გამოსაცდელი (3-დან 6 თვემდე), ან წლამდე ვადით, ხელშეკრულების მოთხოვნათა კანონიერად დაცვის შემთხვევაში ვადის გაგრძელების შესაძლებლობით. გიმნაზიაში პედაგოგიურ სამუშაოზე მიიღება შესაბამისი პროფესიულ-პედაგოგიური

კვალიფიკაციის მქონე პირი ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით, კონკურსის წესით ან მის გარეშე, რექტორატთან გასაუბრების და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

2.3. მოქმედი კანონმდებლობით, მუშაკის გამოსაცდელი ვადით სამუშაოზე მიღების შემთხვევაში ვადა და პირობები მითითებული იქნება შრომით ხელშეკრულებაში. გამოსაცდელი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მუშაკზე მთლიანად ვრცელდება საქართველოს შრომის კოდექსითა და წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი წესები.

2.4 თუ გამოსაცდელი ვადის მიმდინარეობა არადამაკმაყოფილებელია, რექტორატს უფლება აქვს, შესაბამისი ბრძანებით (მიზეზის მითითებით) შეწყვიტოს მუშაკთან გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება და წერილობით/ბრძანების გაცნობით გააფრთხილოს იგი ამის თაობაზე.

2.5. თანამშრომელს უფლება აქვს მოშალოს დადებული შრომითი ხელშეკრულება, მან ამის შესახებ არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობით უნდა გააფრთხილოს ადმინისტრაცია. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მას უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა, ხოლო გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია გაუსწოროს მას საბოლოო ანგარიში (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

2.6. გიმნაზიაში მასწავლებელთა და სხვა მოსამსახურეთა მიღება-გათავისუფლება, სხვა სამუშაოზე გადაყვანა, უფლება-მოვალეობანი, შესასრულებელი სამუშაო და სამსახურის ვადა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, შრომის შინაგანაწესითა და გიმნაზიის რექტორის შიდა სამსახურებრივი აქტებით - ბრძანებებით.

2.7. თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით ორ ეგზემპლარად.

2.8. გიმნაზიის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით კვალიფიკაციის, მინიჭებული სტატუსისა, სტაჟის, გამოცდილებისა და ა.შ. გათვალისწინებით. რექტორის მიერ განსაზღვრული ერთი საათის ღირებულებით ფაქტიურად ჩატარებული საათების გათვალისწინებით.

2.9. გიმნაზიაში თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურება გაცივმა თვეში ერთხელ, თანამშრომლის პირად ანგარიშზე სახელფასო თანხის ჩარიცხვით.

2.10. გიმნაზიის ადმინისტრაციის მიზეზით (ღონისძიება, კონფერენცია, ოლიმპიადა და სხვა) გამოწვეული იძულებითი მოცდენისას თანამშრომელს მიეცემა ანაზღაურება სრული ოდენობით.

2.11. თანამშრომლის მიზეზით (შრომის უუნარობის ფურცელი, ოჯახური გადაუდებელი პირობებისა და სხვა) სამუშაო დღის ან გაკვეთილების გაცდენა არ ანაზღაურდება. გაცდენილი საგაკვეთილო საათის საფასური აუნაზღაურდება შემცვლელ მასწავლებელს.

2.12. გიმნაზიის ადმინისტრაციას (რექტორს) უფლება აქვს დაქვითოს თანამშრომლის შრომითი ანაზღაურებიდან ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე თანამშრომელს გიმნაზიისთვის აქვს გადასახდელი.

2.13. სკოლის ადმინისტრაცია უფლებამოსილია ბრძანების საფუძველზე პროფესიული დაოსტატების მიზნით კონკრეტულ პირთან შეთანხმებით, შტატგარეშედ იყოლიოს რეზერვი ან მაძიებელი (სტაჟიორი) მასწავლებელი.

2.14. პედაგოგებს ეძლევათ შვებულება 1 ივლისიდან 25 აგვისტომდე, მათ შორის ანაზღაურებადი ვაუჩერული დაფინანსების შესაძლებლობის გათვალისწინებით. ასევე გიმნაზიის დანარჩენ მუშაკებს უფლება აქვთ მიიღონ ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 40 კალენდარული დღის ოდენობით, ისარგებლონ ანაზღაურების გარეშე შვებულებით არანაკლებ 15 კალენდარული დღისა, რის შესახებაც ვალდებულნი არიან ორი კვირით ადრე გააფრთხილონ დამსაქმებელი.

2.15. შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის, ორსულობისა და მშობიარობის გამო განისაზღვრება გიმნაზიის შესაძლებლობების გათვალისწინებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

2.16. თანამშრომელთა მიღებისას გიმნაზია ვალდებულია მისაღებ პირს მოსთხოვოს შემდეგი საბუთები:

- ❖ განცხადება;
- ❖ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი;
- ❖ რეგისტრაციის მოწმობა ან რეგისტრაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი;
- ❖ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- ❖ რეზიუმე (CV);
- ❖ ცნობა ადრინდელი შრომითი საქმიანობის შესახებ;
- ❖ მასწავლებლის სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- ❖ სარეკომენდაციო წერილი (საჭიროების შემთხვევაში).
- ❖ პირები, რომლებიც სამუშაოზე მიიღებიან შეთავსებით, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ცნობა ძირითადი სამუშაო ადგილიდან დაკავებული თანამდებობისა და მუშაობის გრაფიკის მიხედვით;

2.17. პედაგოგის სამუშაოზე მიღების შესახებ დამფუძნებელი (რექტორი) გამოსცემს შესაბამის ბრძანებას, რომლის ასლი ინახება პედაგოგის პირად საქმეში.

2.18. თანამშრომლის მიღებისას გიმნაზიის რექტორი ვალდებულია:

- გააცნოს მას გიმნაზიის შინაგანაწესი;
- ინსტრუქტაჟი ჩაუტაროს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმო სანიტარიისა და ჰიგიენის, ხანძარსა და ალმდეგო უსაფრთხოების საკითხებისა და ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

2.18. თითოეულ თანამშრომელზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც უნდა ინახებოდეს:

- ა) განცხადება გიმნაზიაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ბ) განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/ დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
- დ) რეზიუმე CV-ის სახით;
- ე) ორი ფოტო სურათი ზომით 3X4;

2.20. ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადამდე მოშლა შესაძლებელია თანამშრომლის მოთხოვნით, მისი ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო, აგრეთვე სხვა მიზეზებით.

2.21. მასწავლებლის სამუშაოდან დათხოვნა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.22. შრომის ხელშეკრულების მოშლა ფორმდება გიმნაზიის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 3. სამუშაო დრო და პირობები

3.1. სასწავლო წლის ხანგრძლივობა, სემესტრის დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება გიმნაზიის სპეციფიკის გათვალისწინებით, გიმნაზიის წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად სადაც გათვალისწინებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეკომენდებული ინფორმაციები, ხუთდღიანი სამუშაო კვირითა და კვირაში ორი დასვენების დღით. სასწავლო უქმე დღეებთან ერთად უქმე დღეებად ცხადდება მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულები, რაც განისაზღვრება წლის დასაწყისში და გიმნაზიის სასწავლო კალენდარი მტკიცდება რექტორის მიერ.

3.2. გიმნაზიის თანამშრომელთა სამუშაო დრო 40-41 საათს შეადგენს კვირაში, საგნის მასწავლებელთა სამუშაო დრო განისაზღვრება მათი საგაკვეთილო საათობრივი დატვირთვის შესაბამისად, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელი სამუშაო საათებში (თუ ის დამრიგებელი არ არის) აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს სკოლაში. მასწავლებელს უფლება აქვს საერთო სამუშაო (პედაგოგის განათლების დონის ამაღლება, სასწავლო მასალის მომზადება და სხვა) შეასრულოს სახლში.

3.3. ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით (საქართველოს შრომის კოდექსი, თავი მე-4, მუხლი-17, პ-4)

3.4. გაკვეთილების ცხრილსა და რეჟიმს ადგენს გიმნაზიის ადმინისტრაცია და ამტკიცებს რექტორი (ან მის მიერ უფლებამოსილი პირი)

3.5. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გიმნაზიის ბუფეტში და ორივე კორპუსის პირველ და მეორე სართულებზე მორიგეობენ პედაგოგები წესრიგის დაცვისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. I-IV კლასის მოსწავლეთა კვების ორგანიზაციას მეთვალყურეობას და კოორდინირებას უწევენ შესაბამისი კლასის დამრიგებლები.

3.6. მოსწავლის მშობლის თხოვნით ან სხვა ობიექტური მიზეზით სასწავლო პროცესის დროს (გაკვეთილებიდან) მოსწავლის განთავისუფლება ხდება ადმინისტრაციის ნებართვით, შესაბამისი კლასის დამრიგებლის შუამდგომლობით. მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) წერილობითი განცხადების საფუძველზე მოსწავლის სამი დღით გიმნაზიაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში სამედიცინო ცნობით ან გიმნაზიის რექტორატის ოფიციალური ნებართვით ხორციელდება.

3.7. დაუშვებელია გაკვეთილების ცხრილისა და სამუშაო გრაფიკის თვითნებურად შეცვლა.

3.8. დასვენების დღეები და კუთვნილი შვებულება განისაზღვრება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

3.9. არდადეგების დაწყებისას რექტორი გამოსცემს ბრძანებას და განსაზღვრავს პედაგოგთა სამუშაო დროს და ღონისძიებათა განრიგს.

მუხლი 4. მასწავლებელთა ძირითადი მოვალეობანი

გიმნაზიის მასწავლებლები ვალდებული არიან:

4.1. ზუსტად შეასრულონ ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით, გიმნაზიის წესდებით, შინაგანაწესით და ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებები;

4.2. დაიცვან შრომის დისციპლინა, როგორც გიმნაზიაში წესრიგის საფუძველი;

4.3. დაიცვან ცხოვრების მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ პრინციპები;

4.4. აქტიურად ითანამშრომლონ გიმნაზიის ხელმძღვანელობასთან და თავისი წვლილი შეიტანონ გიმნაზიის განვითარებისათვის დაგეგმილ ღონისძიებებში.

4.5. განუხრელად დაიცვან პროფესიული ეთიკის კოდექსი, რომლის თანახმადაც:

- ❖ პროფესიული ვალდებულების შესრულებისას მასწავლებელი დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია;
- ❖ პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ეთიკის კოდექსის ნორმებითა და სკოლის შინაგანაწესით;
- ❖ მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებში დემოკრატიული და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებას;
- ❖ მასწავლებელი თავისი პროფესიული საქმიანობისას სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითს აძლევს მოსწავლეებს;
- ❖ მასწავლებელი იცავს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებსა და გიმნაზიაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ❖ მასწავლებელი თავისი საქმიანობისას ყოველთვის პუნქტუალურია და გარეგნულად მოწესრიგებული. იგი ვალდებულია, გაკვეთილის დაწყებამდე სკოლაში 15 წუთით ადრე გამოცხადდეს, გარდა გაუთვალისწინებელი (გაკვეთილის გაცდენის ან დაგვიანების) შემთხვევებისა, რომელთა შესახებაც მან წინასწარ უნდა აცნობოს ადმინისტრაციას;
- ❖ მასწავლებელი მეტყველებს ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და მოსწავლეებისათვის გასაგები ენით;
- ❖ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, მასწავლებელი ეფექტურად იყენებს პედაგოგიური საქმიანობისათვის განკუთვნილ დროს;
- ❖ მასწავლებელი ვალდებულია, დროულად და ზუსტად აწარმოოს გიმნაზიის დოკუმენტაცია, ყოველდღიურად აღრიცხოს მოსწავლეთა გაცდენები;
- ❖ მასწავლებელი უფრო ხილდება გიმნაზიის ქონებას და მიზანმიმართულად იყენებს მის რესურსებს, არ აყენებს მორალურ ზიანს გიმნაზიას;
- ❖ მასწავლებელი არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის;
- ❖ მასწავლებელს ეკრძალება გიმნაზიის ტერიტორიაზე ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარება; არაფხიზელ მდგომარეობაში სკოლაში გამოცხადება; მოსწავლისაგან ან მშობლისაგან საჩუქრების მიღება; მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევება ზედამხედველის გარეშე;
- ❖ თავისი შეხედულებისამებრ გაკვეთილების ცხრილისა და მუშაობის გრაფიკის შეცვლა;
- ❖ მასწავლებელი უწყვეტად ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე;
- ❖ მასწავლებელი არ აყენებს მოსწავლეს სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ახდენს მასზე ემოციურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას;

- ❖ მასწავლებელი არ უწევს საკუთარ მოსწავლეს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ❖ მასწავლებელი ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს მოსწავლის აზრს, იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს;
- ❖ სასწავლო პროცესის განმავლობაში მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე;
- ❖ მასწავლებელი მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს;
- ❖ მასწავლებელი პატივს სცემს მოსწავლეთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოხატვისთვის;
- ❖ მასწავლებელი არ იყენებს მოსწავლის ფიზიკურ, ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის;
- ❖ მასწავლებელი იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა მოსწავლის მიმართ; მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად, ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ❖ მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან, თავაზიანია ურთიერთობისას და საჭიროების შემთხვევაში აწყობს ინდივიდუალურ შეხვედრებს;
- ❖ მასწავლებელი ყოველი სასწავლო სემესტრის დასაწყისში აძლევს მშობლებს ინფორმაციას სასწავლო გეგმისა და მის მიერ არჩეული სწავლების მეთოდების შესახებ;
- ❖ მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად, მასწავლებელი მშობელს დროულად და ინდივიდუალურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ.
- ❖ მასწავლებელი თანაბარი პატივისცემით ეპყრობა გიმნაზიის ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულს სხვა პირებს, მიუხედავად მათი თანამდებობისა, პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა;
- ❖ იგი მუდმივად ზრუნავს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, კოლეგებს უზიარებს შეძენილ ცოდნას, გამოცდილებას და თანამშრომლობს მათთან.

მუხლი 5. მასწავლებლის უფლებები

- 5.1. მასწავლებელს უფლება აქვს კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს მონაწილეობა გიმნაზიის მართვაში.
- 5.2. დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიური საბჭოსა, სასწავლო თათბირებსა და კრებების მუშაობაში.
- 5.3. დაიცვას საკუთარი პროფესიული პატივი და ღირსება.
- 5.4. მიიღოს დროული ინფორმაცია, როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა ოლიმპიადების, კონფერენციების, სხვადასხვა აკადემიური თუ შემოქმედებითი კონკურსების ჩატარების პირობების შესახებ.
- 5.5. საჭიროების შემთხვევაში გიმნაზიაში დაიბაროს მოსწავლის მშობელი.
- 5.6. მუდმივად იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე, რაც გულისხმობს „ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის" სქემის ფარგლებში აქტიურობას, როგორც სასწავლო პროცესში ისე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ფორმების ორგანიზებისას.

5.7. შესაბამის საგნობრივ კათედრებზე შეიმუშაოს საგნის სწავლებისა და აღზრდის მეთოდები, აირჩიოს გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალა, იზრუნოს თავადაც შექმნას სასწავლო პროცესისათვის საჭირო სასწავლო რესურსი;

5.8. შესაძლებლობის ფარგლებში საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად, ისარგებლოს გიმნაზიაში არსებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით

მუხლი 6. კლასის დამრიგებლის მოვალეობანი

6.1. გიმნაზიის I–XII კლასებს ჰყავს დამრიგებელი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შექმნილი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სადამრიგებლო პროგრამის მოთხოვნებისა და გიმნაზიის შინაგანაწესით დადგენილი მოვალეობების შესაბამისად.

დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობაა:

- ზრუნვა ჯანსაღი საკლასო გარემოს შექმნისათვის.
- სასწავლო პროცესის დაწყებამდე 15 წუთით ადრე გიმნაზიაში გამოცხადება, მოსწავლეთა მიღებისა და გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მათი გაცილების ორგანიზება.
- მოსწავლეთა გიმნაზიაში გამოუცხადებლობის მიზეზების ოპერატიულად დადგენა, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება, მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება.
- მშობლის დაუყოვნებლივ ინფორმირება თუ მოსწავლის ჯანმრთელობას და პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა.
- დაეხმაროს მშობელს იმ სიახლეების გაცნობაში, რაც ხორციელდება გიმნაზიაში.
- მოსწავლის მიერ დისციპლინური დარღვევის შესახებ მშობლის ოპერატიულად შეტყობინება და მისი გიმნაზიაში დაბარება.
- გაკვეთილებზე დასწრება, მოსწავლეთა აკადემიურ მაჩვენებლებზე დაკვირვება, საჭიროების შემთხვევაში დახმარების გაწევა საგნის მასწავლებლებთან ერთად.
- საკლასო ჟურნალი აწარმოოს მოთხივნის შესაბამისად. სწორად შეიტანოს მასში ინფორმაციები და მოსთხოვოს საგნის მასწავლებლებს მის დაქვემდებარებაში მყოფი კლასის მიმდინარე ნიშნების და გაცდენილი საათების ყოველდღიური აღრიცხვა
- მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია, შვილის სწავლა-აღზრდის მდგომარეობისა და მიღწევების სისტემატური გაცნობა. სემესტრის ბოლოს მშობელთა კრების ჩატარება. საჭიროების შემთხვევაში, მშობლებთან რეგულარული თანამშრომლობა.
- მოსწავლეთა ინტერესებისა და თავისებურებების გათვალისწინებით მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობა. I-IV კლასებში კვირაში ერთხელ კითხვის საათის ჩატარება, IX-XI კლასებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარება, მე-10 კლასში სადამრიგებლო საათის ფარგლებში საუბრებისა და დისკუსიების ჩატარება ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების თემატიკაზე.
- საგნის მასწავლებლებთან ერთად ზრუნვა ნიჭიერ მოსწავლეთა გამოსავლენად და მათთვის დამატებითი მეცადინეობების ჩატარება ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებსა და სხვა შემეცნებითი სახის კონკურსებში წარმატებების მოსაპოვებლად.

- რექტორის კურთხევითა და მასთან შეთანხმებით მოსწავლეთა წაყვანა სხვადასხვა ადგილების მოსალოცად, კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებების და სასწავლო ექსკურსიების ორგანიზება;
- საკლასო დოკუმენტაციის სწორად და დროულად წარმოება. ყოველი სემესტრის დასაწყისში კლასში განსახორციელებელი სასწავლო-სააღმწერდლო პროგრამის შედგენა და მისი შესრულების უზრუნველყოფა, კლასში განხორციელებული აქტივობების შესახებ შესაბამისი ინფორმაციების მომზადება სემესტრების ბოლოს;
- სისტემატიური ზრუნვა საკლასო ოთახში მყუდრო და ესთეტიკური გარემოს შესაქმნელად.

6.2 მოსწავლის მიერ ქცევის კოდექსის უხეშად დარღვევის, შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის, ასევე მკვეთრი აკადემიური ჩამორჩენისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ, იგი ვალდებულია დროულად ჩააყენოს საქმისკურსში გიმნაზიის ადმინისტრაცია;

6.3 მისი მოვალეობაა დაიცვას მასწავლებლის ეთიკის კოდექსითა და გიმნაზიის შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის, მასწავლებლის ეთიკის კოდექსისა და გიმნაზიის შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევისათვის

7.1 გიმნაზიის შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მოვალეობების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, დგება თანამშრომლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი;

- ❖ გიმნაზიაში დაგვიანება;
- ❖ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენა, ან გიმნაზიის რექტორატის გაუფრთხილებლობა მოსალოდნელი გაცდენის შესახებ;
- ❖ გაკვეთილების თვითნებური მიტოვება;
- ❖ გიმნაზიის დოკუმენტაციის უხარისხოდ წარმოება;
- ❖ გაკვეთილიდან მოსწავლის ზედამხედველის გარეშე გაძევება;
- ❖ სწავლა-სწავლების დაბალი ხარისხი;
- ❖ მოსწავლის, მშობლის ან თანამშრომლის შეურაცხყოფა და კონფლიქტის გაღვივება, კოლეგიალობისა და თანამშრომლობის ეთიკის დარღვევა, მასწავლებლის მიერ ეთიკის კოდექსის მოთხოვნების უხეშად დარღვევა.
- ❖ ზემოთ აღნიშნული ნებისმიერი დარღვევა ითვლება დისციპლინურ გადაცდომად და ითვალისწინებს დისციპლინური ზემოქმედების შემდეგ სახეებს:
- ❖ გაფრთხილებას ან შენიშვნას;
- ❖ საყვედურს;
- ❖ სასტიკ საყვედურს;
- ❖ სამსახურიდან დათხოვნას (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა), კერძოდ: გიმნაზიის თანამშრომელს შეიძლება გამოეცხადოს **შენიშვნა** შემდეგ შემთხვევებში:
 - ✚ 3-ზე მეტი დაგვიანებისათვის;
 - ✚ საკლასო ჟურნალის არასწორი წარმოებისათვის;
 - ✚ მასწავლებლის პორტფოლიოს არასრული წარმოებისათვის;
 - ✚ სამი არასაპატიო გაცდენისათვის;

- ✚ გიმნაზიისთვის მცირე მატერიალური ზარალის მიყენებისათვის;
- ✚ უსაფრთხოების წესისა და პირობების ნორმების დარღვევისათვის;
- ✚ თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან, მოსწავლის მშობლებთან ურთიერთობაში გამოჩენილი არაკორექტულობის გამო;
- ✚ უხეში ფორმით გამოვლენილი არაკოლეგიალურობის გამო.

საყვედური :

- ✚ მესამე გაფრთხილების შემდეგ დისციპლინარული გადაცდომის კვლავ განმეორებისთვის,
- ✚ მოსწავლის მიერ მასწავლებლისა და ნებისმიერი თანამშრომლის თანდასწრებით ვანდალიზმის აქტის ჩადენისათვის (შენობის, საკლასო ოთახის, სასკოლო ინვენტარისა ან სხვისი ნივთების დაზიანებისათვის);
- ✚ ნებისმიერი ფორმით უხეშობის გამოვლენისათვის;
- ✚ გაკვეთილის სულ მცირე დროით დატოვებისთვის
- ✚ მოსწავლის ან ნებისმიერი პირის ღირსების შელახვისათვის;
- ✚ მოსწავლეთა სოციალური ან პიროვნული შეუწყნარებლობისათვის.

✓ **სასტიკი საყვედური:**

- ✓ გიმნაზიისთვის მატერიალური ზარალის მიყენებისათვის;
- ✓ გაკვეთილზე სისტემატიური არასაპატიო დაგვიანება–გაცდენისათვის;
- ✓ კლასის დამრიგებლისთვის დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისა და ისეთი საქციელის ჩადენისათვის, რომელიც ლახავს გიმნაზიის სახელს;

რექტორის ინიციატივით მასწავლებელი სამუშაოდან შეიძლება **განთავისუფლდეს:**

სასტიკი საყვედურის მიღების შემდეგ ისეთი ქმედების ჩადენისათვის, რაც იმსახურებს უფრო მკაცრი დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას.

- ❖ მასწავლებლის ეთიკის კოდექსის უხეში დარღვევისათვის.
- ❖ სისტემატიური გაცდენებისა და დაგვიანებისათვის.
- ❖ გიმნაზიისთვის მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზარალის მიყენებისათვის.
- ❖ უსაფრთხოების წესების ისეთი უხეში დარღვევისათვის, რაც მოსწავლის ან კოლეგის დაზიანების მიზეზი გახდა, ან/და მოსწავლის ან კოლეგის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის;
- ❖ მოსწავლეთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულის დაფარვისათვის და პირადი ინიციატივებით პრობლემების მოგვარების მცდელობისათვის;
- ❖ არასაკმარისი კვალიფიკაციისა და შესაბამისად დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლების გამო.
- ❖ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო.
- ❖ სამსახურის ვადის ამოწურვისას;
- ❖ საკუთარი ინიციატივით;
- ❖ შტატებით გათვალისწინებული საშტატო ერთეულის შემცირებისას;
- ❖ დაწესებულების ლიკვიდაციისას;
- ❖ გარდაცვალებისას;

7.2. დისციპლინური გადაცდომის შედეგებიდან გამომდინარე, თანამშრომელს შეიძლება შეეფარდოს დისციპლინური ზემოქმედების ერთ-ერთი სახე, მოცემული რიგითობის გაუთვალისწინებლად;

7.3. დისციპლინური სახდელის გამოყენება შეუძლია გიმნაზიის რექტორს, რომლის დადებამდე დამრღვევს უნდა მოეთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება. უარი ახსნა - განმარტების მიცემაზე (რაც დასტურდება აქტით) არ შეიძლება ჩაითვალოს წინააღმდეგობად მის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენებისათვის.

7.4. ბრძანებას დისციპლინური ზემოქმედების გამოყენების შესახებ თანამშრომელი უნდა გაეცნოს სამი დღის ვადაში და დაადასტუროს ხელმოწერით.

7.5. ადმინისტრაციას უფლება აქვს მოუხსნას სახდელი პირს ვადამდე ადრე, თუ სახდელის მოქმედების პერიოდში თანამშრომელი კეთილსინდისიერად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და მიაღწევს წარმატებას;

7.6. სამსახურიდან გათავისუფლება სახდელის სახით გამოიყენება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, თანამშრომლის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობათა სისტემატური შეუსრულებლობით ან თუ ის გამოიწვევს მძიმე შედეგს;

მუხლი 8. წახალისების ფორმები

8.1. გიმნაზიის მოსწავლეთა თუ გიმნაზიაში დასაქმებულ პირთა სტიმულირების მიზნით, შრომის ნაყოფიერებისა და მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმას: სწავლებასა და აღზრდაში მიღწეული წარმატებისა და პედაგოგიურ საქმიანობაში მოპოვებული სხვა მიღწევებისათვის სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოიყენება შემდეგი სახის წახალისება:

- ❖ მადლობის გამოცხადება;
- ❖ სიგელის გადაცემა;
- ❖ დიპლომის გადაცემა;
- ❖ ფასიანი საჩუქრის გადაცემა;
- ❖ პრემია ან ფულადი საჩუქარი;
- ❖ და სხვა.

საუკეთესო მასწავლებლის კრიტერიუმები (ნიშან-თვისებები, რომლებითაც ხდება წასახალისებელი სუბიექტის შერჩევა):

- გიმნაზიაში დასაქმებული პირი, რომელმაც;
- სამსახურობრივი მოვალეობები სანიმუშოდ და კეთილსინდისიერად შეასრულა;
- გამოავლინა შემოქმედებითი ნიჭი;
- აქტიურად თანამშრომლობს გიმნაზიის ადმინისტრაციასთან;
- თავისი წვლილი შეაქვს გიმნაზიის განვითარებისთვის დაგეგმილ ღონისძიებებში;
- აქტიურად არის ჩაბმული სკოლის ცხოვრებაში (ესწრება შიდა შეხვედრებს, ჩართულია სკოლის პრობლემური საკითხების გადაჭრაში, მონაწილეობს მრგვალ მაგიდებში, კათედრის საქმიანობაში);
- იცნობს თანამედროვე მიდგომებს, სწავლებისა და სწავლის ინტერაქტიულ მეთოდებს, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და მიზნობრივად იყენებს სასწავლო პროცესში;

8.2. წახალისების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება რექტორის ინიციატივით ან პედსაბჭოს წარდგინებით; წახალისების, სადამსჯელო სანქციის ან მისი მოხსნის თაობაზე ბრძანება შეტანილი იქნება დასაქმებული პირის, მასწავლებლის/მოსწავლის პირად საქმეში; დისციპლინარული პასუხისმგებლობა

ითვლება მოხსნილად, თუ დისციპლინის დამრღვევ პირს ექვსი თვის განმავლობაში არ შეეფარდება ახალი სასჯელი; წახალისების, ან/და სადამსჯელო სანქციის გამოყენების ან მისი მოხსნის გადაწყვეტილებას იღებს გიმნაზიის რექტორი შესაბამისი პროცედურების დაცვით;

მუხლი 9. გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და დათხოვნის (გარიცხვის) პირობები.

9.1 გიმნაზიის მოსწავლეთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება გიმნაზიის შინაგანაწესითა და მოსწავლის ქცევის კოდექსით.

9.2 გიმნაზიის პირველ კლასში ჩარიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებსაც სასწავლო წლის დასაწყისისათვის შეუსრულდათ 6 წელი. (კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მე-6 მუხლი & 6.04.04.2014) ან/და კანონით დადგენილი წესით;

გიმნაზიაში პირველ რიგში შეიძლება ჩარიცხოს მოსწავლე, რომელიც არის მართლმადიდებელი ქრისტიანი და რომლის ერთ-ერთი მშობელი მაინც არის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი.

I კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

- ❖ მშობლის ან მზრუნველის განცხადება გიმნაზიის რექტორის სახელზე;
- ❖ დაბადების მოწმობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
- ❖ ბავშვის სამედიცინო ფორმა № 26
- ❖ მშობელთა (კანონიერი წარმომადგენლის) რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. (პირ.მოწ.ქსეროასლი)
- ❖ ორი ფოტო სურათი, ზომით 3/4;
- ❖ გიმნაზიასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;

მოსწავლის ჩარიცხვაზე მშობელს შეიძლება უარი ეთქვას, თუ გიმნაზიის მოსწავლეთა ლიმიტი ამოწურულია;

9.3. მოსწავლის სხვა საგმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- ❖ მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება გიმნაზიის რექტორის სახელზე;
- ❖ მოსწავლის პირადი საქმე;
- ❖ მოსწავლის დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- ❖ სკოლის დირექტორის ბრძანების ამონაწერი მოსწავლის სიიდან ამოღების შესახებ;
- ❖ სამედიცინო ცნობა № 26
- ❖ მშობელთა (კანონიერი წარმომადგენლის) რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. (პირ.მოწ.ქსეროასლი)
- ❖ მიმღები კომისიის დასკვნა;

9.4 გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია, გიმნაზიაში ჩარიცხვისას მოსწავლესა და მის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) გააცნოს გიმნაზიის შინაგანაწესი.

9.5 მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება გიმნაზიის რექტორის ბრძანებით, დადებითი საბოლოო აკადემიური შედეგებისა და სასწავლო წლის შემაჯამებელი გამოცდების შედეგების საფუძველზე (V–XII კლასები). შეფასების ათქულიანი სისტემით. მოსწავლის წარმატების მინიმალურ ბარიერად ითვლება საგანში სემესტრული, წლიური, საერთო წლიური და საფეხურის შეფასება „5,5“ ქულა, ან მეტი;

მუხლი 10. გიმნაზიის მოსწავლეთა ვალდებულებები

გიმნაზიის მოსწავლეთა უფლება–მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესითა და მოსწავლის ქცევის კოდექსით.

10.1. მოსწავლეები ვალდებულები არიან შეასრულონ შინაგანაწესითა და მოსწავლეთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

10.2. მოსწავლის ქცევის კოდექსი არეგულირებს მოსწავლის ქცევის წესებს, რომლებსაც იგი იცავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გიმნაზიაში, აგრეთვე გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს.

10.3. ქცევის კოდექსი ვრცელდება ყველა მოსწავლეზე.

10.4. იგი ყოველთვის თავაზიანია მასწავლებელთან, თანატოლებთან და გიმნაზიაში დასაქმებულ სხვა პირთან ურთიერთობაში და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას.

10.5. იგი ემორჩილება გიმნაზიის ადმინისტრაციასა, მასწავლებლებისა და დასაქმებული სხვა პირის კანონიერ მოთხოვნებს და მითითებებს.

10.6. იგი თავაზიანად ეპყრობა სხვა მოსწავლეებს, თავს იკავებს მათთან ძალადობის, მუქარის, ცილისმწამებლური ან დამცინავი განცხადებებისაგან და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას.

10.7 მოსწავლე გიმნაზიაში ცხადდება გიმნაზიის მიერ დაწესებული სამოსით, ყოველგვარი სამკაულის გარეშე;

10.8 მოსწავლე დროულად ცხადდება დილის ლოცვაზე, არ აგვიანებს გაკვეთილებზე და გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებაზე. არ აცდენს გაკვეთილებს არასაკატიო მიზეზით.

10.9 გაკვეთილზე ყოფნისას მოსწავლეს აქვს სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ნივთები.

10.10 მოსწავლე გამოხატავს აზრებს და შეხედულებებს, სხვა პირთა უფლებების შელახვის გარეშე.

10.11. სასწავლო პროცესის დროს მოსწავლე არ იყენებს მობილურ ტელეფონს და/ან სხვა ტექნიკურ საშუალებებს, არასასწავლო მიზნით, გაკვეთილზე და ყურადღებითაა ასახსნელი მასალის უკთ გაგების მიზნით;

10.12 მოსწავლე ხელს არ უშლის მასწავლებელსა და სხვა მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

10.13 მოსწავლე პატივს სცემს სხვის აზრს და აკადემიურ ნაშრომს, სხვისი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილ პროდუქტს არ ასაღებს თავისად.

10.14. მოსწავლე არ ტოვებს გაკვეთილს მასწავლებლის ნებართვის გარეშე.

10.15. მოსწავლე უფრთხილდება და იცავს გიმნაზიის შენობას, მასში არსებულ მოწყობილობებს და აღჭურვილობას და დაზიანების შემთხვევაში აღადგენს მას თავად ან სხვათა დახმარებით.

10.16. სასწავლო წლის დასასრულს გიმნაზიას უბრუნებს ბიბლიოთეკიდან გატანილი ყველა წიგნს;

10.17. მოსწავლე იცავს სისუფთავეს გიმნაზიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მუხლი 11. მოსწავლის წახალისება წარმატებისათვის

სანიმუშო ყოფაქცევის, სწავლაში მიღწეული მაღალი შედეგების, საოლიმპიადო, საკონფერენციო და ასევე სხვადასხვა საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის მოსწავლე შეიძლება დაჯილდოვდეს:

- ❖ შესაბამისი ბრძანებით მადლობის გამოცხადებით;
- ❖ სიგელით;
- ❖ დიპლომით;
- ❖ ფასიანი საჩუქრით;
- ❖ და სხვა ჯილდოებით;

მუხლი 12. დისციპლინარული ზომები

12.1. მოსწავლეს ეკრძალება:

- ✚ სასწავლო პროცესის დასრულებამდე დატოვოს გიმნაზიის ტერიტორია;
- ✚ მიაყენოს ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა სხვა მოსწავლეს ;
- ✚ გიმნაზიის ქონებისა და სასკოლო ინვენტარის დაზიანება;
- ✚ თანატოლებისა და სხვა მოსწავლეების ღირსების შელახვა, დაშინება, გამოძალვა.
- ✚ ხმამაღალი შემახილებით ან ყვირლით საგაკვეთილო პროცესის ჩაშლა;
- ✚ მობილური ტელეფონით სარგებლობა გაკვეთილის მიმდინარეობისას;
- ✚ ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებელი და ნარკოტიკული ნივთიერებების და სხვა კანონით აკრძალული ნივთების გიმნაზიის ტერიტორიაზე შემოტანა, მოხმარება და გავრცელება;
- ✚ გიმნაზიის კედლებზე ან გამოკრულ დოკუმენტებზე წარწერების გაკეთება;
- ✚ ბილწსიტყვაობა;
- ✚ ქურდობა ;
- ✚ ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ხელს უშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას;

12.2. მოსწავლეს დისციპლინარული გადაცდომის ჩადენისათვის შეიძლება დაედოს შემდეგი დისციპლინარული სახდელი:

- სიტყვიერი/წერილობითი გაფრთხილება
- საყვედური;
- მშობელთან დათათბირება;
- გიმნაზიიდან მოკლევადიანი (ერთიდან ხუთ დღემდე) დათხოვნა;
- გიმნაზიისათვის სასარგებლო შრომა,

➤ მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა;

სიტყვიერი გაფრთხილება შეიძლება გამოეცხადოს :

- ✓ გაკვეთილზე ან დასვენებაზე დისციპლინის მსუბუქი დარღვევისათვის;
- ✓ უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის;
- ✓ მოსწავლის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის;
- ✓ დაგვიანებისთვის ან გაკვეთილის არასაპატიო მიზეზით გაცდენისთვის;
- ✓ სასკოლო ქონების უმნიშვნელო დაზიანებისთვის.

საყვედური შეიძლება გამოეცხადოს :

ა.ამ მუხლის ზედა პუნქტში მითითებული დისციპლინარული გადაცდომების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში;

ბ.დისციპლინის უხეში დარღვევისათვის;

გ.სწავლისადმი სისტემატიურად ზერელე დამოკიდებულებისათვის.

გიმნაზიიდან მოკლევადიანი (ერთიდან ხუთ დღემდე) დათხოვნა შეიძლება გამოეყენებულ იქნეს:

ა.ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული დისციპლინარული გადაცდომების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში;

ბ.გაკვეთილის ჩაშლისათვის ან ჩაშლის მცდელობისათვის;

გ.გიმნაზიის ქონების მნიშვნელოვანი დაზიანებისათვის.

გიმნაზიიდან გრძელვადიანი(ხუთიდან ათ დღემდე)დათხოვნა შეიძლება გამოეყენებულ იქნეს: ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული დისციპლინარული გადაცდომების განმეორებითი ჩადენის შემთხვევაში;

ა.მოსწავლის ფიზიკური შეურაცყოფის მიყენებისათვის;

ბ. მასწავლებლისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებისათვის.

12.3.მოსწავლის მიერ ქცევის წესების (კოდექსის), გიმნაზიის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დარღვევისა და გიმნაზიის თანამშრომლების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, შინაგანაწესი ითვალისწინებს გარკვეულ დისციპლინარულ ზომებს:

12.4.მოსწავლე სიტყვიერად შეიძლება გააფრთხილოს საგნის მასწავლებელმა, კლასის დამრიგებელმა, ადმინისტრაციის წევრმა. წერილობითი გაფრთხილება, ისევე , როგორც სხვა დანარჩენი დისციპლინარული სახდელები ფორმდება გიმნაზიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით; მოსწავლის მიმართ დისციპლინარული სახდელის გამოყენების შესახებ, გარდა სიტყვიერი გაფრთხილებისა, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მშობელს; დისციპლინარული სახდელის დადებამდე, მოსწავლეს, მშობლის თანდასწრებით, უნდა ჩამოერთვას წერილობითი ახსნა- განმარტება; დისციპლინარული სახდელის დადების დროს განისაზღვრება მისი მოქმედების ვადა.

12.5. გიმნაზიისათვის გაწეული სასარგებლო შრომა, რაც ნიშნავს მოსწავლის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს გიმნაზიის რექტორი.

12.6. გიმნაზიისათვის სასარგებლო შრომა, ინიშნება 5სთ.-დან 10სთ.-მდე ვადით, მაგრამ მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღმატებოდეს დღეში 1სთ.-ს. დროებით დათხოვნა გიმნაზიიდან, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 5-დან 10 სასწავლო დღემდე.

12.7. თუკი მოსწავლის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზემოთჩამოთვლილი ყველა ზომა, ხოლო მოსწავლე კვლავ ჩაიდენს დისციპლინურ გადაცდომას, გიმნაზიის მხრიდან შეიძლება გამოყენებული იქნეს მოსწავლის მშობელთან (კანონიერი წარმომადგენელი)/მეურვესთან/ მზრუნველთან მომსახურების გაწევის ხელშეკრულების ვადამდე, ცალმხრივად შეწყვეტის უფლებამოსილება (მიუხედავად იმისა მოსწავლეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის მომენტისათვის მოხსნილი ექნება თუ არა დისციპლინური პასუხისმგებლობა)

12.8. ხელშეკრულების ვადამდე, ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გიმნაზიის რექტორი პედაგოგიური საბჭოს წარდგინებით;

12.9. ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.

12.10. გიმნაზიიდან მოსწავლის დათხოვნა:

გიმნაზიიდან მოსწავლე შეიძლება დათხოვნილ (გარიცხულ) იქნას თუ:

ა) იგი სისტემატურად არღვევს სკოლის შინაგანაწესის და მოსწავლის ეთიკური კოდექსის მოთხოვნებს, არ ცდილობს შეისწავლოს პროგრამით გათვალისწინებული საგნები ცოდნის დადგენილი მინიმუმის ფარგლებში მაინც;

ბ) მისი ქცევისა და დარღვევების შესახებ კლასის დამრიგებლის მიერ (მასწავლებელთა მიერ მიწოდებული ინფორმაციების საფუძველზე) დაიწერება მინიმუმ სამი მოხსენებითი ბარათი მაინც.

გ) მოსწავლის მხრიდან თანატოლის მიმართ განხორციელებული რაიმე სახის შეურაცხყოფის- ძალადობის, მუქარის, ცილისმწამებლური ან დამცინავი განცხადებების, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევაში.

12.11. მოსწავლის სკოლიდან დათხოვნის (გარიცხვის) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გიმნაზიის რექტორი პედაგოგიური საბჭოს წარდგინებით.

12.12. ფიზიკური დასჯა:

ა) დაუშვებელია ნებისმიერი მიზეზით მოსწავლის ფიზიკური დასჯა და ფიზიკური ძალის გამოყენება.

მუხლი 13. შეფასების სისტემა

გიმნაზიის ადმინისტრაცია პედაგოგიური საბჭოს მონაწილეობით შეიმუშავებს:

ა) გიმნაზიის თვითშეფასების,

ბ) მოსწავლეთა ცოდნის შეფასების,

გ) პედაგოგთა თვითშეფასების,

დ) მოსწავლეზე და მასწავლებელზე დაკვირვების,

ე) მონიტორინგისა და შედეგების დემონსტრირების წესს,

ვ) მოსწავლის ცოდნის შეფასება წარმოებს ათბალიანი სისტემით და ნიშნების გამოყვანის წესი განსაზღვრულია გიმნაზიის სასწავლო გეგმით.

მუხლი 14. გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) უფლება-

მოვალეობანი: (უფლებები):

14.1. გიმნაზიის მოსწავლის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს სასწავლო პროცესში ჩართულ პირთაგან დაკისრებული მოვალეობის შესრულება; ბ) მიიღოს ინფორმაცია მასწავლებლისაგან და გიმნაზიის ადმინისტრაციისგან გიმნაზიის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე;

გ) გამოთქვას საკუთარი აზრი მშობელთა კრებებზე;

დ) გაეცნოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და შინაარსს, მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას (მინიმუმ კვირაში ერთხელ) ე) გაეცნოს გიმნაზიის წესდებას, შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სხვა დოკუმენტებს;

ვ) დაიცვას ბავშვის კანონიერი უფლებები და ინტერესები და წერილობითი განცხადებით მიმართოს დაწესებულების დირექტორს, რომელიც ვალდებულია ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები და კანონით დადგენილ ვადაში გასცეს პასუხი;

თ) მასწავლებლის მიერ დაწერილი სემესტრული ნიშანი გაასაჩივროს გიმნაზიის ადმინისტრაციაში, ადმინისტრაციამ კი 7 დღის ვადაში შექმნას კომისია, რომელიც კომისიის შექმნიდან არაუგვიანეს სამ დღეში შეისწავლოს საჩივრის საფუძვლიანობა და დაწეროს შესაბამისი ნიშანი;

ი) კლასის მოსწავლეთა მშობლების 4/5 –ის განცხადების საფუძველზე, შესაბამისი დასაბუთებით, გიმნაზიის რექტორი უფლებამოსილია მასწავლებელს ჩამოართვას ამ კლასთან გაკვეთილების ჩატარების უფლება;

კ) კლასის მოსწავლეთა მშობლების 2/3-ის განცხადების საფუძველზე, შესაბამისი დასაბუთებით, გიმნაზიის რექტორის უფლებამოსილია ამ კლასის დამრიგებელი გაათავისუფლოს თანამდებობიდან;

14.2. მოსწავლის მშობელი (კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია:

14.2.1. გიმნაზიის ადმინისტრაციასა და მოსწავლის მშობელს (კანონიერი წარმომადგენელთან) შორის ურთიერთობა რეგულირდება ვადიანი ხელშეკრულების საშუალებით, რომელშიც ასახულია გიმნაზიისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობები და დავის წარმოშობის შემთხვევაში - გასაჩივრების მექანიზმები, რომლის თანახმადაც მშობელი ვალდებულია:

ა. მშობელი ვალდებულია შეუქმნას მოზარდს ნორმალური აღზრდისა და ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის პირობები

ბ. პირველსავე მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს გიმნაზიაში (გიმნაზიაში მშობლის გამოძახების უფლება აქვს კლასის დამრიგებელსა და გიმნაზიის ადმინისტრაციას);

გ. გიმნაზიის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით სწორი ორგანიზაციით უზრუნველყოს სწავლისა და დასვენების მაღალი დონე. შვილის სკოლაში გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიზეზი გიმნაზიას. არ დაუშვას მისი შვილის მიერ გაკვეთილების არასაპატიო გაცდენის შემთხვევები.

დ. აანაზღაუროს მისი შვილის მიერ გიმნაზიისადმი მიყენებული მატერიალური ზარალი;

ე. შეასრულოს გიმნაზიის ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ვ. ხელშეკრულების დარღვევა შესაძლებელია, თუ ორივე მხარე თანახმაა დაარღვიოს ხელშეკრულება ან ერთ-ერთი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

15. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი

1. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება: მშობელთა კრებაზე, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს, მშობელთა რიგგარეშე კრებაზე, საგნის მასწავლებელთან შეხვედრაზე (მასწავლებელი მშობელთან პირადი ურთიერთობის დროს, უფლებამოსილია მშობელს გააცნოს შვილის აკადემიური მოსწრება, მხოლოდ იმ სასწავლო საგანში, რომელსაც ასწავლის), ელექტრონული ფოსტით ან/და ტელეფონით, გიმნაზიის მიერ შედგენილი ფორმის საშუალებით;

2. მოსწავლის აკადემიური მოსწრების ან/და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია. მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან ადმინისტრაციის წარმომადგენელი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს.

3. გიმნაზიის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება საკლასო კრებებზე კლასის დამრიგებლის მიერ.

4. კლასის მშობელთა კრებას იწვევს კლასის დამრიგებელი. მშობელთა კრებაზე განიხილება სასწავლო პროგრამების განხორციელების, დისციპლინის, ორგანიზაციული და სხვა საკითხები. კლასის მშობელთა კრება მოიწვევა სასწავლო წლის ყოველი თვის ბოლო კვირაში, პირველი და მეორე სემესტრის დასრულებისას. რიგგარეშე კრების მოწვევის საკითხს კლასის დამრიგებელი უთანხმებს გიმნაზიის ადმინისტრაციას მშობელთა კრებაზე შეიძლება მოწვეულ იქნეს ნებისმიერი საგნის მასწავლებელი და გიმნაზიის ადმინისტრაციის წევრი.

5. სასწავლო წლის დასაწყისშივე უნდა მოხდეს მოსწავლისა და მშობლის ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ.

6. მშობელთა კრებისათვის ყველა დამრიგებელი ინდივიდუალურ დღის წესრიგს ამზადებს, რომელიც შეთანხმებულია გიმნაზიის ადმინისტრაციასთან; მშობელთა რიგგარეშე კრების მოწვევა, აუცილებლობის

შემთხვევაში, შეუძლია კლასის დამრიგებელს ან გიმნაზიის ადმინისტრაციას. საგნის მასწავლებელს ადმინისტრაციასთან ან კლასის დამრიგებელთან შეთანხმებით უფლება აქვს გამოიძახოს მშობელი.

მუხლი 16. გიმნაზიის სხვა მუშაკთა მოვალეობანი

15.1. გიმნაზიის რექტორატი ვალდებულია:

- განსაზღვროს გიმნაზიის განვითარების პოლიტიკა და სტრატეგია, შეიმუშაოს ბიუჯეტი, შეასრულოს თანამდებობრივი ინსტრუქციებით მათზე დაკისრებული მოვალეობანი;
- შექმნას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;
- შეიმუშაოს ობიექტური და დემოკრატიული შეფასების სისტემა: გიმნაზიის, პედაგოგთა, მოსწავლეთა და სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სრულყოფნის მიზნით;
- ზედამხედველობა გაუწიოს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, პასუხი აგონ მის ორგანიზებასა და ხარისხზე;
- ხელი შეუწყოს კანონის უზენაესობის დამკვიდრებას და იმოქმედოს კანონიერების ფარგლებში;
- კონტროლი დააწესოს გიმნაზიის თანამშრომელთა მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაზე, გამოიყენოს ზემოქმედების ღონისძიებები დამრღვევთა მიმართ;
- შექმნას პედაგოგთა შემოქმედებითი და სამეცნიერო მოღვაწეობისთვის ხელშემწყობი გარემო, მოაწიოს წარმატებული გამოცდილების შესწავლა, გავრცელება და დანერგვა;
- იზრუნოს გიმნაზიის თანამშრომლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის ჰარმონიული, უკონფლიქტო გარემოს ფორმირებაზე;
- უზრუნველყოს და მხარი დაუჭიროს გიმნაზიის მართვაში პედაგოგთა ინიციატივასა და აქტივობას;
- შეიმუშავოს წახალისების, პრემიების, საჩუქრებისა და სხვა ჯილდოების გაცემის წესი და პირობები;
- უზრუნველყოს დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების პირობებისა და ხელფასის ფონდის დაცვა;
- გასცეს ხელფასი დადგენილ ვადებში (არაუგვიანს მომდევნო თვის 5 რიცხვისა, გარდა ფორს-მაჟორული სიტუაციისა).

16.2. დაგეგმოს გიმნაზიის საქმიანობა სასწავლო წლის განმავლობაში ისე, რომ არ შეაფერხოს სქემის დანერგვა და ხელი შეუწყოს მასში ჩართულ ყველა პირს, დროულად და წარმატებით განახორციელონ მათთვის სქემით განსაზღვრული საქმიანობები.

16.3. შეიმუშაოს ფასილიტატორებისა და მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მუშაობის მონიტორინგის გეგმა და შესაბამისი ბრძანებულება გააცნოს სასკოლო საზოგადოებას.

16.4. გიმნაზიის რექტორის, პრორექტორების, სასწავლო პროცესის კოორდინატორის, კომუნიკაციების მენეჯერის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია გიმნაზიის წესდებით.

17. გიმნაზიის ბუღალტერი

17.1. თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“, საგადასახადო კოდექსით, საფინანსო და საგადასახადო ინსტრუქციებით, მითითებებით, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის წესდებით, გიმნაზიის რექტორის გამოცემული ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და განკარგულებებით, სხვა საფინანსო და საგადასახადო ნორმატიული აქტებით.

თავისი უფლება-მოსილების ფარგლებში ბუღალტერი ახორციელებს:

17.2. თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად საქმიანობას, უზრუნველყოფს გიმნაზიის წინაშე არსებული საფინანსო ამოცანების და ფუნქციების შესრულებას.

17.3.. დროულად აკონტროლებს ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ათვისებას.

17.4. აკონტროლებს საფინანსო გადარიცხვის პროცესის მიმდინარეობას და შედეგებზე ინფორმაციას აწვდის დამფუძნებელს (რექტორს).

17.5. მკაცრად ხელმძღვანელობს დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული და დამტკიცებული ბიუჯეტით და კონტროლს აწესებს ცალკეული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების კანონიერებაზე

17.6. სასწავლო გეგმის, საათობრივი ბადის, ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალის სამტატო განრიგის საფუძველზე, სასწავლო და კალენდარული წლის დასაწყისში ადგენს პედაგოგთა და თანამშრომელთა ხელფასების ტარიფიკაციებს.

17.6.. აწარმოებს ანგარიშსწორებას ბანკთან, დროულად უზრუნველყოფს ხელფასების გამოწერას და საგადასახადო ორგანოებში დროულ ანგარიშსწორებას.

17.7. ადგენს ყოველთვიურ საფინანსო ანგარიშს და ინფორმაციას აწვდის რექტორს.

17.8. რექტორის მიერ დამტკიცებულ კვარტალურ, ნახევარწლიურ და წლიურ საფინანსო ბალანს წარადგენს საქართველოს საპატრიარქოს შესაბამის სამსახურში.

17.9. მატერიალურ-ფასეულობათა და სხვა სახის მომსახურების მომწოდებელ იურდიულ და კერძო პირებთან ახორციელებს ხელშეკრულების გაფორმებას, კონტროლს აწესებს წარმოდგენილ ანგარიშ-ფაქტურების სანდოობაზე.

რექტორის განკარგულების საფუძველზე ახორციელებს განაღდებას და იცავს მათ კონფიდენციალურობას.

17.10. რექტორთან ერთად პასუხისმგებელია და აკონტროლებს გიმნაზიის ინვენტარის შენახვასა და მოვლა-პატრონობას. სამეურნეო წლის ბოლოს, საინვენტარიზაციო კომისიასთან ერთად ატარებს მატერიალურ-ფასეულობათა ინვენტარიზაციას, ადგენს ოქმს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.

17.11.. ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე, დამფუძნებლის მიერ განსაზღვრულ ვადებში, რექტორთან ერთად შეიმუშავებს ახალი წლის გიმნაზიის ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს საპატრიარქოს.

18. IT სპეციალისტი

18.1. გიმნაზიის ლოკალური და გლობალური კომპიუტერული ქსელის გამართვა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;

18.2. შესაბამის ინციდენტებზე რეაგირება და შემდგომი მონიტორინგი;

18.3. გიმნაზიის კომპიუტერული ტექნიკის დიაგნოსტიკა ოპერატიული სიხშირისა და სხვა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა (ინსტალირება), პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. პერიფერიული აპარატურის კომპიუტერებთან შეერთება და გამართვა;

18.4. გიმნაზიის ვებ-გვერდზე <http://gabrielisgimnazia.ge/>-ზე, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას დოკუმენტაციისა და სხვა სიახლეების სისტემატურად ატვირთვა.

18.5. გიმნაზიის პედაგოგებისათვის საგნობრივი ღონისძიებებისათვის (ღია და ინტეგრირებული გაკვეთილები) ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისათვის კონსულტაციების გაწევა და ტექნიკური დახმარება.

18.6. პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული პედაგოგებისათვის სამუშაო გეგმების და სხვა საინფორმაციო მასალების ატვირთვაში დახმარება და კონსულტაციების გაწევა.

18.7. საჭიროების შემთხვევაში საგიმნაზიო, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებებისათვის ინფორმაციული-ტექნიკის საშუალების გამოყენებისათვის კონსულტაციებისა და დახმარების გაწევა.

18.8. საატესტატო გამოცდებისათვის და ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადის სასკოლო ტურისათვის ტექნიკისა და ქსელის გამართული, შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

18.9. საინფორმაციო ტექნიკის კაბინეტის (ინფორმატიკის კაბინეტის), ტექნიკის მუშაობის და დაცვის კონტროლი;

18.10. საჭიროების შემთხვევაში გიმნაზიის კანცელარიისათვის ელექტრონული ფოსტით მასალების მიღება-გადაცემაში ტექნიკური დახმარების გაწევა;

18.11. IT სპეციალისტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია გიმნაზიის რექტორატის წინაშე, ასრულებს რექტორატის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

19. გიმნაზიის ფსიქოლოგი

19.1. თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონის, "ზოგადი განათლების შესახებ", გიმნაზიის წესდების, მისი შინაგანაწესის, ხელშეკრულების, გიმნაზიის რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე;

19.2. ასწავლოს თითოეული მოსწავლის განვითარების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ახორციელებს ღონისძიებებს მოსწავლეთა ასაკობრივი ცვლილებების შესაბამისი პრობლემების უმტკივნეულოდ გადაჭრის მიზნით, ადგენს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ პორტრეტებს მოსწავლეზე დაკვირვების, მშობლებისა და გარემომყოფთანგან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ატარებს სხვადასხვა ტიპის ტესტირებებს;

19.3. კლასის დამრიგებლებთან ერთად აზუსტებს იმ მოსწავლეთა კონტიგენტს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალური საგანმანათლებლო და სააღმზრდელო ღონისძიებების გატარებას, მასთან ერთად განსაზღვრავს მათთან მუშაობის ინდივიდუალურ ღონისძიებებს და ახორციელებს მათზე კონტროლს და დახმარებას;

19.4. აწარმოებს თანმიმდევრულ მუშაობას იმ მოსწავლეთა მშობლებთან, რომელთა შვილებიც ძნელად ექვემდებარებიან გიმნაზიის შინაგანაწესით და მოსწავლეთა ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებას. მათთან ერთობლივად ატარებს საჭირო ღონისძიებებს.

19.5. ასრულებს გიმნაზიის რექტორის ცალკეულ დავალებებს.

20. გიმნაზიის სამეურნეო ნაწილის გამგე (მნე)

მოვალეობა:

20.1. სარგელობს გიმნაზიის თანამშრომლებისთვის გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრული ყველა უფლებამოსილებით;

20.2. გიმნაზიის მომარაგება ყველა საჭირო პროდუქტით, საკანცელარიო საქონლით და სხვა;

20.3. გიმნაზიის ბაღის, ეზოსა და მცენარების მოვლა სასწავლო საათების დასრულების შემდეგ;

20.4. გიმნაზიის შენობის სასწავლო პროცესის დასაწყებად მომზადება, ყოველ დილას ოთახების დათვალიერება და მოწესრიგება;

20.5. საკუთარი კომპეტენციის ხელსაქმის საჭიროებისამებრ შესრულება;

20.6. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ინვენტარისა თუ ნებისმიერი სხვა ნივთების მოწესრიგება, შეკეთება, მოვლა.

20.7. ყველა სახის საგიმნაზიო ღონისძიებაში აქტიური თანამშრომლობა, ტექნიკურ საკითხებზე პასუხისმგებლობის აღება.

20.8. დამლაგებლის მუშაობის ზედამხედველობა

20.9. სხვადასხვა ტიპის მსუბუქი ინვენტარის დამზადება

20.10. ცენტრალური გათბობისა და ელექტროენერჯის გამოყენების რეგულირება/ორგანიზება;

20.11. სხვადასხვა ტიპის ფინანსური დოკუმენტების წარმოება

20.12. ბუღალტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის დროულად მიწოდება

20.13. სარემონტო სამუშაოების ჩატარება/ხელმძღვანელობა;

ვალდებულება:

20.14. სიფრთხილით მოეპყრას შენახვისა და სხვა მიზნებისათვის გიმნაზიის მიერ მასზე გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და მიიღოს ზომები ზიანის აღმოსაფხვრელად;

20.15. თავისდროულად აცნობოს გიმნაზიის რექტორს ყველა ვითარებაზე, რომელიც ემუქრება მასზე მინდობილი ფასეულობების შენახვის უზრუნველყოფას;

20.16.. აწარმოოს აღრიცხვა, შეადგინოს და დადგენილი წესით წარუდგინოს სასაქონლო-ფულადი და სხვა ანგარიშები მასზე მინდობილი მატერიალური ფასეულობის მოძრაობაზე და ნაშთზე;

20.17. მიიღოს მონაწილეობა მასზე მინდობილი მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციაში;

20.18. მოაგვაროს გიმნაზიის მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული ყველა საკითხი;

20.19. იზრუნოს გიმნაზიის შენობის მოწესრიგებასა და სასწავლო პროცესისათვის მომზადებაზე.

21. გიმნაზიის ბიბლიოთეკარი

✚ მოვალეობა

21.1. ახორციელებს თავის საქმიანობას, უზრუნველყოფს და აკონტროლებს გიმნაზიის წინაშე არსებული ამოცანების და ფუქციების შესრულებას.

21.2. ზრუნავს იმ სასწავლო-მეთოდურ თუ მხატვრული ლიტერატურის მოვლაზე, რომელიც გიმნაზიის ბიბლიოთეკის განკარგულებაშია.

21.3. ეხმარება მოსწავლეებს ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, წასაკითხი მასალის შერჩევაში.

21.4. აძლევს რჩევებს მოსწავლეებს, რათა ჩამოუყალიბოს წიგნისადმი სწორი მოპყრობის ჩვევები.

21.5. ქმნის კატალოგს და ბიბლიოთეკაში ნერგავს მუშაობის თანამედროვე მეთოდებს.

21.6. ზედამხედველობას უწევს ბიბლიოთეკის მუშაობას, პერიოდულად აწვდის ანგარიშს გიმნაზიის რექტორს.

21.7. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მოსამზადებელ სამუშაოებს სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებისათვის.

21.8. ზრუნავს საკუთარი პროფესიონალიზმის ამაღლებაზე.

✚ ვალდებულება:

21.9. დადგენილი ჰქონდეს და იცოდეს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ზუსტი რაოდენობა;

21.10. მზადყოფნაში ჰქონდეს ბიბლიოთეკა სასწავლო პროცესისათვის;

21.11. დაწყებითი კათედრის ხელმძღვანელთან ერთად, ბიბლიოთეკის მეშვეობით, ორგანიზება გაუწიოს ტესტირებების მიმდინარეობას.

21.12. შეიმუშაოს და რეალიზება გაუკეთოს სწავლის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად პროექტებისა და კონკურსების ჩატარებას. ბიბლიოთეკარი თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში:

21.13. ასრულებს გიმნაზიის რექტორის ცალკეულ დავალებებს;

21.14. აწარმოებს ბიბლიოთეკაში გაწვევრიანებული აბონენტების წიგნაკებს, ღებულობს შეკვეთებს აბონენტთათვის საჭირო სასწავლო, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის გამოსაწერად;

21.15. ზრუნავს ბიბლიოთეკის ფონდის შევსება-განახლებისათვის, ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნისათვის, ინტერნეტის მეშვეობით ცალკეული დისციპლინების მიხედვით ბიბლიოგრაფიული მასალების მოძიებისათვის, უქმნის საჭირო პირობებს აბონენტებს სამკითხველო დარბაზში მუშაობისათვის;

21.16. ხელმძღვანელობს წიგნების სარეგისტრაციო სამუშაოებს, კოორდინირებას უწევს მწერლებთან, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებთან და სხვა საინტერესო ადამიანებთან შეხვედრებს.

22. საქმისმწარმოებელი

გიმნაზიის საქმისმწარმოებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გიმნაზიის რექტორი, მასთან, ისევე როგორც გიმნაზიის სხვა თანამშრომელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

მოვალეობა:

22.1. ახორციელებს შემდეგ სამუშაოს და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებით, საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის წესებითა და ნორმატიულ-მეთოდოლოგიური დოკუმენტებით საქმისმწარმოების საკითხებზე და სხვა მოქმედი ნორმატივებისა და დებულების მოთხოვნით.

22.2. აწარმოებს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვას განათლების მართვის საინფორმაციო (EMIS) სისტემის საშუალებით. გიმნაზიის სხვა სასკოლო დოკუმენტაციას (მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები; ბრძანების წიგნები; ანბანური წიგნი; მიმოწერა რესურსცენტრთან; დარგობრივ რესპუბლიკურ, რეგიონალურ, ადგილობრივ, ზემდგომ ორგანოებთან და სხვა). თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ამ ინსტრუქციის და სკოლის საქმისმწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად საქმიანობას, უზრუნველყოფს და აკონტროლებს გიმნაზიის წინაშე არსებული ამოცანების და ფუნქციების შესრულებას.

22.3. პირადი პასუხისმგებლობით უვლის დამსაქმებლის დოკუმენტაციას, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და გიმნაზიის თანამშრომლების პირად საქმეებს: ახორციელებს გიმნაზიის საქმისმწარმოებას, აწარმოებს ბრძანებებისა და მოსწავლეების მოძრაობის წიგნებს, აღრიცხავს შემოსულ და გასულ წერილებს, ამზადებს ბრძანებებისა და წერილების პროექტებს; აღრიცხავს და დროულად აწვდის ადრესატებს შესასრულებლად შემოსულ კორესპონდენციას; აკონტროლებს კანცელარიაში შემოსული დოკუმენტების მოძრაობას და ყოველდღიურ ინფორმაციას აწვდის რექტორატს.

22.4. ზედამხედველობას უწევს გიმნაზიის რექტორის რეზოლუციისამებრ დოკუმენტების შესრულების ვადების დაცვას, შესრულებული დოკუმენტების შესახებ ინფორმაციას აწვდის გიმნაზიის რექტორს. თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მოსამზადებელ სამუშაოებს სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებისათვის. დოკუმენტბრუნვის მოწესრიგებისათვის იყენებს თანამედროვე კომპიუტერულ სისტემებს, ზრუნავს საკუთარი პროფესიონალიზმის ამაღლებაზე.

22.5. ასრულებს სხვა მიმდინარე დავალებებს

22.6. საქმისმწარმოებელი ანგარიშვალდებულია გიმნაზიის რექტორის წინაშე.

23. გიმნაზიის დამლაგებელი

მოვალეობა:

23.1. მთელი დღის განმავლობაში ვალდებულია მაღალ ხარისხიანად უზრუნველყოს გიმნაზიის შენობის, დერეფნების, საკლასო ოთახების, შენობის სველი წერტილების და სასწავლო ინვენტარის სისუფთავის დაცვა;

23.2. გიმნაზიის ექიმის მეთვალყურეობით პერიოდულად უზრუნველყოს საპირფარეშოების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით;

23.3. გაუფთხილდეს მასზე მიმაგრებულ ინვენტარს;

23.4. დღის განმავლობაში ორჯერ ჩაატაროს შენობის მონიტორინგი (მოწესრიგება და სველი წერტილების საჭიროებისამებრ დასუფთავება);

23.5. გააკონტროლოს შენობის შიგნით ელექტროენერჯის გამოყენების საჭიროება, რათა არ მოხდეს ენერჯის ხარჯვა არამიზნობრივად და თავიდან იქნას აცილებული რისკის ფაქტორი;

23.6. განსზღვროს და წარმოადგინოს საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების ნუსხა, უზრუნველყოს მისი მიზნობრივი ხარჯვა და აღრიცხვა;

✚ ვალდებულება:

23.7. დროულად აცნობოს მის დაქვემდებარებაში არსებული რესურსების ამოწურვის შესახებ 23.8. აღრიცხოს ინვენტარის დაზიანების შემთხვევები, დაიცვას ინვენტარის შენახვის წესები;

23.9. დღის ბოლოს გიმნაზიის შენობა დატოვოს აბსოლიტურად მოწესრიგებული, ნაგვის ნარჩენები გაიტანოს და ჩაყაროს ნაგვის ურნაში;

✚ 24. სამედიცინო სამსახური

გიმნაზიის სამედიცინო სამსახური: გიმნაზიის ექიმის მისიაა მოზარდის ფიზიკურ მდგომარეობაზე თვალყურის დევნება და გამოვლენილ პრობლემების გადაჭრაზე ზრუნვა.

✚ საქმიანობის აღწერილობა:

სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია გიმნაზიის B კორპუსის პირველ სართულზე და აღჭურვილია პირველადი ამბულატორიული დახმარების გასაწევად საჭირო სამედიცინო საშუალებებით, მედიკამენტებით.

✚ ექიმთან ინახება ნებისმიერი ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ: ჯანმრთელობის ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან, ნებისმიერი სამედიცინო ინფორმაცია (მაგ.: განსაკუთრებული დამოკიდებულება რომელიმე მედიკამენტის ან საკვები პროდუქტის მიმართ), მისამართები, ტელეფონები, აცრები და სხვ.

✚ ნებისმიერი სამედიცინო პრობლემის წარმოშობის შესახებ ექიმი ვალდებულია, დაუკავშირდეს მშობელს. დაავადების სიმპტომების შემჩნევის შემთხვევაში გიმნაზიის ექიმი ვალდებულია, მოსთხოვოს მშობელს, ჩაუტაროს მოსწავლეს სამედიცინო შემოწმება.

✚ მოსწავლის ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ მასწავლებლები და გიმნაზიის თანამშრომლები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი.

✚ ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ კონფიდენციალურია. ისეთი მოსწავლეების მიმართ, რომელთაც რაიმე სახის ქრონიკული დაავადება აწუხებთ, ამ შემთხვევაში წამლის მიცემა მოსწავლისთვის ხდება მშობლის ნებართვით.

სასწრაფო სამედიცინო დახმარება

- ✚ სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევაში ექიმი საქმის კურსში აყენებს გიმნაზიის ადმინისტრაციას და მშობლებს. მშობლები ვალდებული არიან, გადაიყვანონ მოსწავლე სახლში ან სამედიცინო დაწესებულებაში.
- ✚ თუ ავადმყოფობა სერიოზულია, მშობლის/მეურვის ნებართვით სასწავლებლის ადმინისტრაცია გამოიძახებს სასწრაფო დახმარების მანქანას და ბავშვი გადაყვანილი იქნება საავადმყოფოში ინფექციური დაავადებების
- ✚ **პრევენცია** ინფექციური დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ექიმი ვალდებულია, მოითხოვოს მშობლისგან მოსწავლის იზოლირება მის სრულ გამოჯანმრთელებამდე. ექიმი დაავადებულ მოსწავლეს აძლევს რეკომენდაციას გამოჯანმრთელებამდე გაერიდოს სასწავლო პროცესს და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, გასინჯვისა და სიმპტომატური მდგომარეობის შეფასების შემდეგ გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე.
- ✚ უზრუნველყოფს გიმნაზიაში სამედიცინო კუთხით არსებული პრობლემების მოგვარებას და განსაკუთრებული ყურადღებას აქცევს და აღრიცხავს ქრონიკული დაავადებების მქონე (დიაბეტი, ეპილეფსია, დაქვეითებული მხედველობა, სქოლიოზი, კიფოზი) მოსწავლეებს, შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს;
- ✚ დროულად აწვდის ინფორმაციას მშობლებს მოზარდების სავალდებულო აცრების თაობაზე;
- ✚ რექტორატს წარუდგენს წინადადებებს სამედიცინო მომსახურების პროცესის სრულყოფისა და სასწავლებლის თანამშრომლების მიერ თანამშრომლების მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა-გამოსწორების შესახებ.
- ✚ პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს უწევს რეკომენდაციას გაკვეთილებიდან განთავისუფლების შესახებ;
- ✚ აღრიცხოს მიღებული მედიკამენტები და აწარმოოს გაცემის რეგისტრაცია სპეციალურ ჟურნალში;

25. უსაფრთხოების პირობებისა და წესრიგის დაცვა

- ❖ გიმნაზიაში უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვაზე სასწავლო პროცესში- საგაკვეთილო დროის განმავლობაში ზრუნავენ დღის მორიგეები პასუხისმგებელი მორიგის ხელმძღვანელობით, მორიგეობაში ჩართულია ასევე საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები.
- ❖ გიმნაზია ვალდებულია, მიიღოს ყველა გონივრული გადაწყვეტილება სასკოლო დროს მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებების დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით;
- ❖ გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრი ასევე კონტროლდება ვიდეოსათვალთვალო კამერების საშუალებით, რომლის გაკონტროლებაც მიმდინარეობს ადმინისტრაციის ოთახიდან;
- ❖ გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს არადისკრიმინაციულ საფუძველზე გიმნაზია ზღუდავს გარეშე პირთა მოძრაობას, რომელსაც დღის მორიგეებთან ერთად აკონტროლებს გიმნაზიის ორივე დამლაგებელი;
- ❖ დღის მორიგე მასწავლებლების უფლება-მოვალეობანი გაწერილია ცალკე დოკუმენტად და იგი შინაგანაწესის განუყოფელი ნაწილია;
- ❖ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დღის მორიგეები ვალდებული არიან გააკონტროლონ მოსწავლეთა მოძრაობა და ქცევა გიმნაზიის ტერიტორიაზე (შენობა და ეზო).
- ❖ დაუშვებელია გიმნაზიაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში გიმნაზია ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება გიმნაზიის შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

- ❖ გიმნაზიის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედებები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 26. რექტორის განკარგულებათა თანამშრომლებამდე დაყვანის წესი

რექტორის განკარგულება თანამშრომლებამდე დაიყვანება განკარგულების თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრით, საწარმოო თათბირზე განცხადებით ან ადმინისტრაციის წევრთა მეშვეობით.

მუხლი 27. თანამშრომელთა სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი

27.1. საპატიო მიზეზით (ჯანმრთელობის გაუარესების, ქორწინების, მძიმე ოჯახური გარემოებების ან სხვა) სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში გიმნაზიაში დასაქმებული ვალდებულია განცხადებით (რომელშიც მიუთითებს შემცვლელის ვინაობას და ანგარიშსწორების პირობებს) მიმართოს გიმნაზიის რექტორს დროებით სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ხოლო საგანგებო სიტუაციაში აცნობოს რექტორატს სამუშაოს დაწყებამდე არაუგვიანეს 1 საათისა.

27.2. შეტყობინების არ არსებობის შემთხვევაში რექტორატი უფლებამოსილია გამოიყენოს ადმინისტრაციული სახდელი.

27.3. სამსახურში გამოცხადების შემდეგ თანამშრომელი ვალდებულია აანაზღაუროს გაცდენილი სამუშაო დრო რექტორატთან შეთანხმებული გრაფიკით (გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს წინასწარი შეთანხმება კონკრეტულ პირთან მისი შეცვლის თაობაზე).

მუხლი 28. გიმნაზიის შიდა კონტროლის განხორციელების წესი და ფორმები

28.1. გიმნაზიის შიდა კონტროლის სისტემას შეიმუშავებს რექტორი, რაც აისახება გამოცემულ თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში.

28.2. გიმნაზიის შიდა კონტროლის საშუალებებია:

- სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობისა და საგანმანათლებლო მიზნების შესრულების შესწავლა და შედეგების განხილვა თათბირზე, პედაგოგიურ და კათედრის სხდომებზე;
- ღია-ინტეგრირებული გაკვეთილების ორგანიზება-ჩატარება და პედაგოგთა მეთოდოლოგიებისა და გამოცდილების წარმოჩენა-განზოგადება;
- დაკვირვება პედაგოგზე, რაც გამოიხატება: გაკვეთილზე დასწრებითა და მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების აღრიცხვით;
- ცალკეულ საგნებში მოსწავლეთა მოსწრების პერიოდული მონიტორინგი, რაც გამოიხატება: შიდა საგიმნაზიო წერის, ტესტირების, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების, პროექტების მომზადება-პრეზენტაციის, სასკოლო ოლიმპიადებისა და კონფერენციების ორგანიზებითა და მისგან გამომდინარე შედეგების ანალიზით;
- მოსწავლეთა და მშობელთა მიზნობრივი გამოკითხვითა და ანკეტირებით;
- არასამთავრობო და დამოუკიდებელი ორგანიზაციების გამოკითხვის მასალების ანალიზით.

29. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა

შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პედაგოგიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 30.

შინაგანაწესის ძალაში შესვლა და საჯაროობა

- წინამდებარე შინაგანაწესი არეგულირებს ურთიერთობებს სასულიერო გიმნაზიის ადმინისტრაციასა და დასაქმებულთა, მოსწავლეთა მშობლებს/მეურვეებს შორის, რომელთათვისაც შინაგანაწესის და წესდების გაცნობა ევალება გიმნაზიის ადმინისტრაციას/კლასის დამრიგებლების საშუალებით;
- აღნიშნული დოკუმენტის გაცნობა დასტურდება ხელმოწერით.
- იმ შემთხვევაში თუ თანამშრომელს თავისი საქმიანობიდან გამომდინარე გადაეცემა გიმნაზიის გარკვეული ქონება, მასთან ფორმდება დამატებით მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულება;
- სკოლის თანამშრომელთა დასაქმებისა და შრომის პირობები, ასევე მოსწავლეთა და მათ კანონიერ წარმომადგენელთა შორის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ან წინამდებარე შინაგანაწესით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი შრომისა და სხვა კანონმდებლობით.
- შინაგანაწესი ძალაშია პედაგოგიური საბჭოს მიერ სხდომის ოქმით დამტკიცებისა და მისი წევრების ხელმოწერის დღიდან;
- შინაგანაწესი დამტკიცებულია და ძალაშია 2019 წლის 6 სექტემბრიდან პედაგოგიური საბჭოს სხდომის №1-ლი ოქმის საფუძველზე; შინაგანაწესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხდება პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით სასულიერო გიმნაზიის ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი ცვლილებების საფუძველზე.

მუხლი 31.

- **დასკვნითი დებულებები**

შინაგანაწესის თანმხლები დოკუმენტები:

- თანამდებობრივი ინსტრუქციები წარმოადგენს შინაგანაწესის ორგანულ ნაწილს და აზუსტებს მას.